წერილის ნომერი: **18-01251483400**
თარიღი: **28/05/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01251403832
წერილის თარიღი:	20 მაისი, 2025
განმცხადებელი:	მალხაზ თავართქილაძე
განაცხადის N	AR11090675
მისამართი	ქ. თბილისი, თბილისის ზღვის მიმდებარედ, ტერიტორია (ნაკვეთი 16/3)
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.19.37.016.003
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტი № 683 თარიღი: 20 დეკემბერი, 2024
ფართობ(ებ)ი:	57 061 კვ.მ.
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	საქართველოს საპატრიარქო
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)
არსებული შეზღუდვები	----------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	საექსპერტო დასკვნა ტოპო.გეგმა ფოტომასალა გამწვანების პროექტი
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტთან და მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება.

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი; „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისი №255 დადგენილების (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის დადგენილებით №52-13 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“, ,,ნ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, 29-ე მუხლის მე-5 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 24 ივლისის N5-54 ბრძანება ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარეების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

სამსახურის პოზიცია

გაცნობებთ, რომ გამწვანებული სივრცის მოსაწყობად, დასარგავად შემოთავაზებული **939** ძირი ნერგი **(სექტორი №1 – 14 ძირი ცაცხვი, 10 ძირი ჰიმალაის კედარი, 8 ძირი ავსტრიული მუხა, 22 ძირი ნეკერჩხალი ლეკა, 11 ძირი მტირალა ტირიფი; სექტორი №2 - 17 ძირი ვერცხლისფერი ნაძვი, 19 ძირი ცაცხვი, 27 ძირი ორნაკვთიანი გინგკო, 27 ძირი გრძელფოთოლა იფანი; სექტორი №3 - 60 ძირი ცაცხვი, 56 ძირი ვერცხლისფერი ნაძვი, 18 ძირი ჰიმალაის კედარი, 18 ძირი ავსტრიული მუხა, 40 ძირი ნეკერჩხალი ლეკა, 52 ძირი მტირალა ტირიფი, 103 ძირი გრძელფოთოლა იფანი, 37 ძირი ორნაკვთიანი გინგკო; სექტორი №4 - 15 ძირი ცაცხვი, 16 ძირი ჰიმალაის კედარი, 10 ძირი ორნაკვთიანი გინგკო, 14 ძირი ნეკერჩხალი ლეკა, 4 ძირი მტირალა ტირიფი; სექტორი №5 - 15 ძირი ცაცხვი, 15 ძირი ჰიმალაის კედარი, 10 ძირი ორნაკვთიანი გინგკო, 14 ძირი ნეკერჩხალი ლეკა, 4 ძირი მტირალა ტირიფი; სექტორი №6 – 30 ძირი ცაცხვი, 26 ძირი ჰიმალაის კედარი, 28 ძირი ნეკერჩხალი ლეკა, 11 ძირი მტირალა ტირიფი; სექტორი №7 - 65 ძირი მარადმწვანე მუხა, 23 ძირი ავსტრიული მუხა, 44 ძირი ნეკერჩხალი ლეკა, 27 ძირი ამბრის ხე, სექტორი №8 - 10 ძირი ჰიმალაის კედარი, 19 ძირი მტირალა ტირიფი)** და ტერიტორიაზე არსებული **14 ძირი მწვანე ნარგავი (9 ძირი თუთა, 3 ძირი ელდარის ფიჭვი, 1 ძირი კერლეუტერია-საპნის ხე, 1 ძირი აღმოსავლური ბიოტა)** სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს **(სექტორი №1 - სზ-6 = 0.3 = 1 611.3 მ2; სექტორი №2 - სზ-6= 0.3 = 2 246.4 მ2; სექტორი №3 - რზ-2= 0.8 = 9 345.6 მ2; სექტორი №4- რზ-2= 0.8 = 1460 მ2; სექტორი №5- სზ-6= 0.3 = 1 467.6 მ2; სექტორი №6 - სსზ-2= 0.3 = 2 377.5 მ2; სექტორი №7 - სზ-6= 0.3 = 3 962.1 მ2; სექტორი №8 - ტზ-1= 0.1 = 467.1 მ2; ჯამში =22 937.6 მ2)** გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები შერჩეულია ქ. თბილისის კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. **ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე 15 ერთეულზე ნაკლები და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი მცენარის მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს. აქედან გამომდინარე, **ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე 16 ძირი მოსაჭრელი/გადასარგავი ხილკენკროვანი მწვანე ნარგავიდან, მხოლოდ 13 ძირი <u>ჯანსაღი</u> ხილკენკროვანი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 12სმ-ს, მათი (N1, N9, N12, N13-N19, N21-N23, N28-N30) მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.**

ინფორმაციისთვის

გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის მე-5^1 პუნქტი).

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი